



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრებს მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ირგვლივ განვითარებული მოვლენები შემამფოთებელია. ტელევიზიაში მიმდინარე პროცესები აზარალებს არა მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს, არამედ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

აღმამფოთებელია ფაქტი, რომ არხის ახალი მენეჯმენტი სრულ იგნორირებას უკეთებს არა მხოლოდ ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციების განცხადებებს, როგორცაა რეპორტიორები საზღვრებს გარეშე, არამედ სახალხო დამცველის მოწოდებებს, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და საკუთარი თანამშრომლების პროტესტს. არხის სარედქციო საქმიანობისგან ხდება იმ ადამიანების ეტაპობრივი ჩამოცილება, ვინც, მონაწილეობდა საზოგადოებრივ მაუწყებელში ჟურნალისტური პროდუქტის შექმნაში, რაც არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ შეფასდა როგორც მიუკერძოებელი და ობიექტური. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანამშრომელთა ნაწილმა 2 მარტს გაფიცვა დააანონსა და ელოდება მედიაციის შედეგებს. სრულიად გაურკვეველია, თუ როგორ წარიმართება პროცესები საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში.

საარჩევნო წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი და მიუკერძოებელი სარედქციო პოლიტიკა, შესაბამისად შექმნილი ვითარება ბადებს ეჭვებს, რომ მთავრობა არჩევნების წინ ცდილობს საინფორმაციო საშუალებების მონოპოლიზებას. საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრები სოლიდარობას ვუცხადებთ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს იმ თანამშრომლებს, რომლებიც ამგვარ ჩარევებს წინააღმდეგობას უწევენ. მოვუწოდებთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, განახორციელონ ქმედითი მხარდაჭერა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების მიმართ.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
2. ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
4. ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
5. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
6. საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
7. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
8. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
9. ახალგაზრდული ალტერნატივა
10. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
11. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
12. ასოციაცია ტოლერანტი
13. ადამიანის უფლებათა ცენტრი
14. მედიის განვითარების ფონდი
15. "საერთაშორიეო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი"
16. ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო
17. „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
18. საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი
19. ახალგაზრდული ასოციაცია „დრონი“
20. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
21. ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
22. გადავარჩინოთ მომავალი თაობა
23. კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობი საერთაშორისო ცენტრი